

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების სტრატეგია 2017 – 2020

ქუთაისი

სარჩევი

შესავალი	3
მისიის განაცხადი და სტრატეგია	4
ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები	5
1. პროფესიული განათლების ადმინისტრირება	5
2. მოტივირებული სტუდენტების მოზიდვა	7
3. პერსონალის განვითარება	8
4. სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება	9
5. ინსტიტუციური პარტნიორების ქსელის განვითარება	10
უნივერსიტეტის პოზიცია პროფესიული განათლების დარგში	12
1. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი	12
2. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი	15
3. აგრარული ფაკულტეტი	18
4. პედაგოგიური ფაკულტეტი	22
5. ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტი	23
6. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	24
გარემოს ანალიზი და ორგანიზაციის შეფასება	26

შესავალი

პროფესიული განათლების მიმართულება აწსუ-ს სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისი სათანადო განვითარება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის როლის გაძლიერებას რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში და იმავდროულად განამტკიცებს დაწესებულების ინსტიტუციურ სიცოცხლისუნარიანობას.

დღესდღეობით პროფესიული განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი გამორჩეული პრიორიტეტია. მიმდინარე რეფორმის მთავარი აქცენტებია ბიზნეს სექტორთან და ზოგადად დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება, პროფესიული განათლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა და სტანდარტიზებული პროფესიული საგანმანათლებლო ე. წ. მოდულური პროგრამების შემუშავება. უკვე 2020 წლისათვის იგეგმება საგნობრივი პროგრამების სრულად ჩანაცვლება.

2015 წელს უნივერსიტეტმა ავტორიზაციის წესით მიიღო 11 მოდულური პროგრამის განხორციელების უფლება. 2016-2017 სასწავლო წელს ამოქმედდა 10 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა. 2017 წლის საშემოდგომო მიღებისას განხორციელდება მე-11 მოდულური პროგრამა. გადაიდგა ნაბიჯები პროფესიული განათლების ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით (დეკანის მოადგილეებს დაევალებათ პროფესიული პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი და პროფესიული პროგრამების სექტორთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან კოორდინაცია).

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს აწსუ-ს ხედვას პროფესიული განათლების შესახებ. მის საფუძველზე მომზადდება სამოქმედო გეგმა, რომელიც უფრო სპეციფიურად ასახავს კონკრეტულ ღონისძიებებსა და განხორციელების პირობებს.

მისიის განაცხადი

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სწრაფად იცვლება. ბოლო წლების ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის განვითარება, ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ევროკავშირთან ასოცირების პროცესი და მასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები გამოხატულ გავლენას ახდენენ შრომის ბაზარზე და ზრდიან მოთხოვნას პროფესიულგანათლებაზე.

უნივერსიტეტმა, რომელსაც გააჩნია პროფესიული განათლებისათვის საჭირო ინსტიტუციური კავშირები, ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა, ხელი უნდა შეუწყოს მსურველს შეიძინოს პროფესიული ცოდნა, გამოიმუშაოს და /ან დახვეწოს შრომითი უნარ-ჩვევები წარმატებული პროფესიულისაქმიანობისათვის. პროფესიული განათლების პროგრამით უნივერსიტეტი ორმაგ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე: შეაქვს წვლილი ეკონომიკის მთელი რიგი დარგების შემდგომ განვითარებაში; ხელს უწყობს მსმენელს შეძლოს ღირსეული დასაქმება და საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაცია.

პროფესიულგანათლებასთან ერთად, უნივერსიტეტი აუცილებლად მიიჩნევს მოქნილი, მოკლევადიანი, სერტიფიცირებული პროფესიული კურსების განვითარებას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ფარგლებში.

უნივერსიტეტის 2017 - 2020 წლის სტრატეგიული მიზნებია:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა.

უნივერსიტეტი იზიარებს პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს და ცდილობს შექმნას ღირსეული სწავლის შესაძლებლობები ყველა მსურველისათვის:

- მრავალწლიან სასწავლო ტრადიციის გამოყენებით უპასუხოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს პროფესიულ განათლებაზე;
- ინსტიტუციური კავშირების გაღრმავებით უზრუნველყოს სრულფასოვანი პრაქტიკა და ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულების დასაქმებას;
- შექმნას ყველა პირობა სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრების და პიროვნული განვითარებისათვის.

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

1. პროფესიული განათლების ადმინისტრირება

მიზანი:

- პროფესიული განათლების საგნობრივი პროგრამების ჩანაცვლება მოდულური პროგრამებითა და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება

ინდიკატორი:

- 2020 წლის ბოლომდე ავტორიზებული იქნება დაახლოებით 20-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- აქედან სულ მცირე 11 ამოქმედებულია და თითოეულზე მიღებულია არანაკლებ 10 სტუდენტი.
- ყველა ფაკულტეტზე, სადაც ხორციელდება პროფესიული პროგრამა ეფექტურად მოქმედებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი დადგენილი დებულების შესაბამისად;
- პროფესიულ პროგრამების მეცადინეობებზე სტუდენტების დასწრების მაჩვენებელი არა ნაკლებ 30% - ია;

საქმიანობა:

- 1.1. ავტორიზებული მოდულური პროგრამების ამოქმედება და შეფასების სისტემების გამართვა;
- 1.2. ახალი მოდულური სასწავლო პროგრამების ავტორიზაციის უზრუნველყოფა;
- 1.3. მოდულური პროგრამების ადმინისტრირებისა და ხარისხის მართვის შიდა მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. ყველა ფაკულტეტზე ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ამოქმედება და საუნივერსიტეტო დონეზე კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფა. მონიტორინგის ჯგუფი დააკვირდება სასწავლო პროცესს, შეიმუშავებს ანგარიშებს, შეაგროვებს მასწავლებელთა და სტუდენტების უკუკავშირს და მოახდენს შიდა შეფასებას.
- 1.4. მოქმედი რეგულაციებისა და სტანდარტების გათვალისწინებით პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის შემუშავება და დანერგვა.
- 1.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის ვებ პორტალის სისტემის სრულყოფა.
- 1.6. სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესწავლის სისტემის სრულყოფა და ამოქმედება.

- 1.7. შრომის ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ მონაცემთა/ინფორმაციის მოკრებისა და ანალიზის პრაქტიკის დანერგვა პრიორიტეტული პროგრამების იდენტიფიცირებისა და განვითარების მიზნით.
- 1.8. პროფესიული განათლების მიწოდების ოპტიმიზაციისათვის მისი ორგანიზების ალტერნატივების შემუშავება და შეფასება.

2. მოტივირებული სტუდენტების მოზიდვა

მიზანი:

- მოტივირებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა.

წარმატების ინდიკატორი:

- პირდაპირი კომუნიკაციის ღონისძიებებში (შეხვედრები, ღია კარის დღე, საწარმოო ექსკურსია) მონაწილეობს სულ მცირე 500 პოტენციური აბიტურიენტი ყოველწლიურად;
- 2020 წლის ბოლოსათვის პროფესიულ პროგრამებზე გამოცხადებული კონკურსი იზრდება სულ მცირე 10%;
- უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებითა და სოციალურ მედიის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციის ნახვის, მოწონებისა და გაზიარების მაჩვენებელი;

საქმიანობა:

- 2.1. პროფესიული განათლებისა და უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების გაცნობა უფროსკლასელებისათვის (შეხვედრები სკოლაში, პრეზენტაცია იმერეთის, სამეგრელოს რეგიონში, გურიისა და რაჭა ლეჩხუმის რეგიონში). მოხდება სამიზნე მუნიციპალიტეტების შერჩევა, შედგება სამიზნე სკოლების სია. შემუშავდება პრეზენტაცია პროფესიული განათლებისა და უნივერსიტეტისა პროფესიულ პროგრამაზე. მოეწყობა შეხვედრები უფროსკლასელებთან;
- 2.2. გაცნობითი პრაქტიკა სკოლის მოსწავლეებისათვის (ექსკურსია, ღია კარის დღე);
- 2.3. უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების რეკლამა და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია რეგიონალური ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის მეშვეობით. ყოველწლიურად რეგიონალური მედია საშუალებებში გასულია სულ მცირე 2-3 სიუჟეტი;
- 2.4. სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით მულტიმედია კონტენტის გავრცელება პროფესიულ განათლებასა და უნივერსიტეტზე;

3. პერსონალის განვითარება

მიზანი:

- სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კვალიფიცირებული მასწავლებლით, როგორც თეორიული მეცადინეობისათვის ასევე პრაქტიკისათვის.

ინდიკატორი:

- 2020 წლის ბოლომდე მოზიდულია ყველა მოქმედი მოდულის როგორც თეორიის ასე პრაქტიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი;
- 2020 წლის ბოლომდე გადამზადდება ყველა მოქმედი პრაქტიკის პედაგოგი სწავლებისა და შეფასების მეთოდებში;

საქმიანობა:

- 3.1. აკადემიური პერსონალის მომზადება პროფესიული სწავლების საკითხებში
- 3.2. მოწვეული პრაქტიკოსი მასწავლებლების მომზადება სწავლების უნარ-ჩვევებსა და სტუდენტის შეფასების საკითხებში
- 3.3. ახალი კადრების მოძიება და მომზადება პროფესიული სწავლების მასწავლებლად (როგორც ზოგადი ასევე დარგობრივი მოდულების პედაგოგებად). საწყის ეტაპზე მოხდება პრიორიტეტული დარგობრივი მოდულების გამოვლენა, შესაბამისი კანდიდატების მოწვევა და შერჩევა.
- 3.4. პროფესიული პროგრამის მასწავლებლების მომზადება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანებთან სამუშაოდ (მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება).

4. სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება

მიზანი:

- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და სასწავლო გარემოთი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისათვის.

წარმატების ინდიკატორი:

- წარმოდგენილია პერიოდულად განახლებადი ყველა მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური ბაზის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების სამოქმედო გეგმები
- სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული საჭიროებების სულ მცირე 20% უზრუნველყოფილია შესაბამისი ფონდებით (უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტი თუ გარედან მოზიდული რესურსები)
- პროფესიული განათლების კუთხით საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები ახლდება სულ მცირე 10 ერთეულით ყოველწლიურად

საქმიანობა:

- 4.1. მოქმედი მოდულური პროგრამებისათვის საჭირო სასწავლო ინფრასტრუქტურის შეფასება, საჭიროებათა განსაზღვრა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- 4.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარება ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად
- 4.3. მოქმედი მოდულური პროგრამებისათვის სასწავლო ლიტერატურისა და წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე რესურსებით.

5. ინსტიტუციური პარტნიორების ქსელის განვითარება

მიზანი:

- უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების ქსელი მუდმივად იზრდება
- პარტნიორი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ქსელი ფართოვდება


ინდიკატორი:

- პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების მზარდი რაოდენობა, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან პროფესიული განათლების დაგეგმვისა თუ მიწოდების საქმიანობებში, განსაკუთრებით სტუდენტების სტაჟირების კუთხით.
- 2020 წლამდე პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მიზნით უნივერსიტეტი მოიზიდავს ტექნიკური დახმარების სულ მცირე 3 პროექტს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მეთოდოლოგიის და/ან რესურსების განვითარებას.

საქმიანობა:

- 5.1. სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტის ეგიდით კონფერენციის ორგანიზება პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე რეგიონალური განვითარებისათვის, რომელსაც ესწრება დაახლოებით 100-მდე დაინტერესებული პირი, მათ შორის უმრავლესობა ბიზნეს ორგანიზაციები და დამსაქმებლები.
- 5.2. ბიზნეს-კომპანიებთან კავშირის გაღრმავების მიზნით სტუდენტების დასაქმების და კარიერული განვითარების შეხვედრების ორგანიზება სულ მცირე წელიწადში ერთხელ (შეხვედრები დამსაქმებელთან - job fair).
- 5.3. შესაბამისი ფაკულტეტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით დამსაქმებელთა შესახებ ინფორმაციის რეგულარული მოგროვება და მათთან საქმიანი ურთიერთობის გამყარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების სრულფასოვანი საწარმო პრაქტიკა, სტაჟირება და მათი შესაძლო დასაქმება.
- 5.4. საერთაშორისო და ადგილობრივი დონორებისაგან დამატებითი ფონდების მოძიების მიზნით ქსელური მუშაობის უზრუნველყოფა და საპროექტო წინადადებების შემუშავება.

სქემა "სტრატეგიული ჩარჩო"



უნივერსიტეტის პოზიცია პროფესიული განათლების დარგში

1. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი მიმართულია ტექნოლოგიური ინოვაციებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული პროგრამების დანერგვისა და განვითარებისაკენ.

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
1. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (საპილოტე მოდულური პროგრამა)	სამიზნე სტუდენტი უმეტესწილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები გოგონებისა და ქალების ასაკობრივად არაერთგვაროვანი ჯგუფით (სტუდენტებს შორის არიან როგორც ახალსკოლადამთავრებული, ასევე შედარებით უფროსი ასაკის მსმენელები). პროგნოზი ოპტიმისტურია, 2016-წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა 16 სტუდენტი.	ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა მონაცემებით დასაქმება აღწევს 85% წელიწადში.
2. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (საპილოტე მოდულური პროგრამა)	სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები მამაკაცების და ქალების ასაკობრივად არაერთგვაროვანი ჯგუფით (მაგალითად, ახალსკოლადამთავრებული, ადამიანი რომელიც მუშაობს ამ მიმართულებით და სხვა). პროგნოზი ოპტიმისტურია, ყოველწლიურად იგეგმება 20 სტუდენტის მიღება	დასაქმება ბაკალავრიატის მონაცემების გადმოტანით უახლოვდება 80% ბოლო 5 წელიწადში. ასევე, კავშირი დამსაქმებელთან აჩვენებს, რომ ფეხსაცმლის საწარმოები (20 საშუალო სიმძლავრის და 80-მდე მცირე საწარმო) ითხოვენ ამ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს.

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
<p>3. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი (საპილოტე მოდულური პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი უმეტეს წილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ვაჟების ასაკობრივად არაერთგვაროვანი ჯგუფით (მაგალითად, ახალ სკოლადამთავრებული, ადამიანი რომელიც მუშაობს, და სხვა). პროგნოზი ოპტიმისტურია, 2016-წლის შემოდგომაზე განხორციელდა 13 სტუდენტის მიღება</p>	<p>დასაქმების სფეროებია რეგიონში არსებული ავეჯის მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები</p>
<p>4. დეკორატიულ - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი (საპილოტე მოდულური პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი უმეტესწილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები გოგონებისა და ქალების ასაკობრივად არაერთგვაროვანი ჯგუფით (სტუდენტებს შორის არიან როგორც ახალ სკოლადამთავრებული, ასევე შედარებით უფროსი ასაკის მსმენელები). პროგნოზი ოპტიმისტურია, 2016-წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა 19 სტუდენტი.</p>	<p>კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის დამამზადებელ მცირე საწარმოებში, სახელოსნოებსა და სალონებში, ასევე ინდივიდუალურად თვითდასაქმებით.</p>
<p>8. მზარეული (მესამე საფეხურის საპილოტე მოდულური პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი უმეტესწილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები გოგონებით და ვაჟებით, რომლებმაც ეხლახანს დაამთავრეს სკოლა. პროგნოზი ოპტიმისტურია, იგეგმება სულ მცირე 10 სტუდენტი.</p>	<p>საზოგადოებრივი კვების ობიექტი.</p>
<p>9. კონდიტერი (მესამე საფეხურის საპილოტე მოდულური პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი უმეტესწილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები გოგონებით და ვაჟებით, რომლებმაც ეხლახანს დაამთავრეს სკოლა. პროგნოზი ოპტიმისტურია, იგეგმება სულ მცირე 10 სტუდენტი</p>	<p>საკონდიტრო წარმოება.</p>

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
<p>10. ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი (საპილოტე მოდულური პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები მამაკაცების და ქალების ასაკობრივად არაერთგვაროვანი ჯგუფით (მაგალითად, ახალსკოლადამთავრებული, ადამიანი რომელიც მუშაობს, და სხვა), პროგნოზი ოპტიმისტურია ყოველწლიურად იგეგმება სულ მცირე 10 სტუდენტი.</p>	<p>დასაქმება ბაკალავრიატის მონაცემების გადმოტანით უახლოვდება 80% ბოლო 5 წელიწადში. ასევე, კავშირი დამსაქმებელთან აჩვენებს, რომ ფეხსაცმლის საწარმოები (20 საშუალო სიმძლავრის და 80–მდე მცირე საწარმო) ითხოვენ ამ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს.</p>
<p>11. გარემოს დაცვის ტექნიკოსი (მეოთხე საფეხურის საპილოტე მოდულური პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი უმეტესწილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები გოგონებით და ვაჟებით, რომლებმაც ეხლახანს დაამთავრეს სკოლა. პროგნოზი ოპტიმისტურია ყოველწლიურად იგეგმება სულ მცირე 10 სტუდენტი.</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში (რეგიონულ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტებში, სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სასწავლო, საგამოცდო და კვლევით ლაბორატორიებში).</p>

2. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
<p>1. ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებით, უმეტეს წილად მამაკაცები. პროგნოზი ოპტიმისტურია. 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 7 სტუდენტი.</p>	<p>კურსდამთავრებულები როგორც წესი საქმდებიან საავტომობილო სერვისის ობიექტებზე. დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად</p>
<p>2. სამედიცინო და ფარმაცევტული მოწყობილობების ოპერატორი</p>	<p>სამიზნე სტუდენტი უმეტეს წილად წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში, ნაწილობრივ კი სამეგრელოში მცხოვრები ახალგაზრდებით, როგორც გოგონებით ასევე ვაჟებით. პროგნოზი ოპტიმისტურია</p>	<p>დამსაქმებელი წარმოდგენილია სამედიცინო დაწესებულებით, ფარმაცევტული საწარმოთი, დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად</p>
<p>3. სამაცივრე მოწყობილობების და კონდიციონერების ოპერატორი</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებით. პროგნოზი ოპტიმისტურია 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 8 სტუდენტი.</p>	<p>დამსაქმებელი წარმოდგენილია კვების ან საკვები პროდუქტების წარმოების დაწესებულებები, სასაწყობე მეურნეობა, ოფისი, ავტოსერვისი, დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად</p>
<p>4. მექანიკის ინჟინერიის სპეციალისტი</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებით, უმეტეს წილად მამაკაცები. პროგნოზი ოპტიმისტურია 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 7 სტუდენტი.</p>	<p>დამსაქმებელი წარმოდგენილია სარემონტო საამქროებში. დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად</p>
<p>5. საავტომობილო გზების და აეროდრომის მშენებელ ტექნიკოსი</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ცხრაკლას ან სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით. მეტწილად მამაკაცებით.</p>	<p>დამსაქმებელი წარმოდგენილია სამშენებლო კომპანიებში. დასაქმების პერსპექტივა მაღალია რეგიონში მიმდინარე გზების სამშენებლო მსხვილი პროექტების გამო.</p>

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
	2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 25 სტუდენტი.	
6. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი (საპილოტე მოდულური პროგრამა)	სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ცხრაკლას ან სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით. მეტწილად მამაკაცებით. 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 20 სტუდენტი.	დამსაქმებელი წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სატრანსპორტო კომპანიებში. დასაქმების პერსპექტივა მაღალია
7. ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი	სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით, უმეტეს წილად ვაჟებით. პროგნოზი უნდა გაკეთდეს სიფრთხილით 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 11 სტუდენტი.	კურსდამთავრებულები როგორც წესი საქმდებიან საავტომობილო სერვისის ობიექტებზე. დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად
8. ავტომობილის ზეინკალი	სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით, უმეტეს წილად ვაჟებით. პროგნოზი უნდა გაკეთდეს სიფრთხილით	კურსდამთავრებულები როგორც წესი საქმდებიან საავტომობილო სერვისის ობიექტებზე. დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად.
9. ძრავის შემკეთებელი	სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით, უმეტეს წილად ვაჟებით. პროგნოზი უნდა გაკეთდეს სიფრთხილით 2016-წლის	კურსდამთავრებულები როგორც წესი საქმდებიან საავტომობილო სერვისის ობიექტებზე. დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს შედარებით ზომიერად.

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
	საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 8 სტუდენტი.	
10. ელექტრიკოსი	სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში მცხოვრები სკოლა დამთავრებული ახალგაზრდებით, უმეტეს წილად ვაჟებით 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 13 სტუდენტი.	ძირითადი დამსაქმებელი მსხვილი ენერგოკომპანიები (მაგალითად, ენერგოპროჯორჯია, ქელასი), ასევე თვითდასაქმება (მაგალითად, ხელოსანი) და ან დასაქმება სამშენებლო-სარემონტო კომპანიების მიერ. დასაქმების პერსპექტივა უნდა შეფასდეს ზომიერად.

3. აგრარული ფაკულტეტი

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
<p>1. აგრო-ლოჯისტიკის ოპერატორი (IV, V საფეხურის საგნობრივი პროგრამა)</p>	<p>უმეტეს წილად იმერეთის რეგიონის არაურბანულ ნაწილში მცხოვრები სკოლადამთავრებული, შედარებით უფროსი ასაკის გოგოები და ვაჟები, აგრეთვე ბაკალავრიატის სტუდენტები.</p> <p>პროგნოზი ოპტიმისტურია:</p> <p>IV საფეხური:</p> <p>2011 წელიგამოცხადდა 10 ადგილი - ჩაირიცხა 5 დაამთავრა 5</p> <p>2012 წელიგამოცხადდა 15 ადგილი - ჩაირიცხა 13 დაამთავრა 13</p> <p>2014 წელისაშემოდგომო მიღებაგამოცხადდა 20 ადგილი - ჩაირიცხა 20 დაამთავრა 20;</p> <p>საგაზაფხულო მიღება: გამოცხადდა 20 ადგილი ჩაირიცხა 20 დაამთავრა 20</p> <p>2015 წელი საგაზაფხულო მიღება: გამოცხადდა 30 ადგილი ჩაირიცხა 30 ამთავრებს მარტის შუა რიცხვებში</p> <p>2015წელის საშემოდგომო მიღება: გამოცხადდა 30 ადგილი ჩაირიცხა 30 მიმდინარეოს სასწავლო პროცესი</p> <p>2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 22 სტუდენტი.</p> <p>V საფეხური</p>	<p>სასაწყობო მეურნეობები, საცალო და საბითუმო ბაზრობები სადისტრიბუციო კომპანიები, ფერმერთა მომსახურების ცენტრები, ტვირთგადამზიდი ფორმები, პროდუქციის რეალიზაციის ობიექტები, მარკეტები, სუპერმარკეტები, მსხვილი სავაჭრო ცენტრები.</p> <p>აღნიშნულ ორგანიზაციებში კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ოპერატორად, ლოჯისტად, დისტრიბუტორად, გადამზიდავად.</p>

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
	2014გამოცხადდა 10 ადგილი, ჩაირიცხა 10, დაამთავრა 10 2015 წელი გამოცხადდა 15 ადგილი ჩაირიცხა 15 მიმდინარეობსსასწავლო პროცესი	
2. აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	როგორც სოფლად ასე ქალაქში მცხოვრები ადამიანები, უმეტეს წილად ვაჟები, როგორც საშუალო სკოლა ახლად დამთავრებულები, ასევე ადამიანები, რომლებიც უკვე მუშაობენ მექანიკოსებად. ყოველი წლისათვის 20 ადგილი.	მექანიზირებული სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრებში (მაგალითად, შპს მექანიზატორი); სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრებში; ფერმერულ მეურნეობაში.
3. მეზაღე	როგორც სოფელში ასევე ქალაქში მცხოვრები ადამიანები, როგორც მამაკაცები და ქალები, როგორც საშუალო სკოლა ახლად დამთავრებულები, ასევე ადამიანები, რომლებიც უკვე ეწევიან საქმიანობას. ყოველი წლისათვის 20 ადგილი.	გამწვანების სამსახური, კერძო პირის საკუთრებაში არსებული ბაღი
4. ბაღის დიზაინი	როგორც სოფელში ასევე ქალაქში მცხოვრები ადამიანები, როგორც მამაკაცები და ქალები, როგორც საშუალო სკოლა ახლად დამთავრებულები, ასევე ადამიანები, რომლებიც უკვე ეწევიან საქმიანობას. ყოველი წლისათვის 20 ადგილი.	გამწვანების სამსახური, კერძო პირის საკუთრებაში არსებული ბაღი
5. ფლორისტული დიზაინის სპეციალისტი	როგორც სოფელში ასევე ქალაქში მცხოვრები ადამიანები, როგორც მამაკაცები და ქალები, როგორც საშუალო სკოლა ახლად	ყვავილების მაღაზია, გამოფენა, მომსახურების სააგენტო.

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
	<p>დამთავრებულები, ასევე ადამიანები, რომლებიც უკვე ეწევიან საქმიანობას.</p> <p>ყოველი წლისათვის 20 ადგილი.</p>	
<p>6. ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებელი (IV საფეხურის საგნობრივი პროგრამა)</p>	<p>უმეტეს წილად დასავლეთ საქართველოს რეგიონების არაურბანულ ნაწილში მცხოვრები საშუალო სკოლადამთავრებული, შედარებით უფროსი ასაკის აპლიკანტები, აგრეთვე ბაკალავრიატის სტუდენტები.</p> <p>პროგნოზი ოპტიმისტურია: 2013-წ საშემოდგომო მიღებაზე გამოცხადებული იყო 20 ადგილი შეივსო მთლიანად, დაამთავრა 20 სტუდენტმა; 2014 წლის- საგაზაფხულო მიღება გამოცხადებული იყო 30, შეივსო მთლიანად, დაამთავრა 30.</p> <p>2015წ. საშემოდგომო მიღებაზე გამოცხადებული იყო 30 ადგილზე იყო 80 განცხადება, მივიღეთ 30 მსმენელი;</p> <p>2015 წლის საგაზაფხულო მიღებაზე გამოცხადდა 30 ადგილი, მიღებულია 28 სტუდენტი</p>	<p>სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა (ზედამხედველობითი სამსახური), საირიგაციო სისტემების მოწყობა - სატბორე აუზების, სამდინარე ნაგებობების და ჰიდრო-ელექტრო სადგურების მშენებლობა (დამხმარე სპეციალისტი)</p>
<p>7. სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი (IV საფეხურის საგნობრივი პროგრამა)</p>	<p>უმეტეს წილად იმერეთის რეგიონის არაურბანულ ნაწილში მცხოვრები ახალ სკოლა დამთავრებული, ასევე შედარებით უფროსი ასაკის გოგონები და ვაჟები, პროგნოზი ოპტიმისტური: წინა წლის 2014-2015 წლის გაზაფხულზე ჩაირიცხა 12 სტუდენტი, დაამთავრა 9 სტუდენტმა; 2015-2016 წელს ჩაირიცხა 15 სტუდენტი, ახლა გადიან საწარმო</p>	<p>თვითდასაქმება საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში, დასაქმება ფერმერულ მეურნეობებში და კოოპერატივებში საშუალო/დაბალი რგოლის ხელმძღვანელებად.</p>

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
	პრაქტიკას (15 სტუდ.), დაამთავრებენ მარტის ბოლოს, 2015-წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა 15 სტუდენტი. 2016-წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა 14 სტუდენტი.	

4. პედაგოგიური ფაკულტეტი

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
<p>1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი (ახალი პროგრამა) მიმდინარე საპილოტე მოდულური პროგრამა, 2016-წლის საგაზაფხულო მიღება.</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ზოგადი განათლების მქონე პირები. პროგრამაზე მიღებულია 21 სტუდენტი.</p>	<p>2020 წლიდან ძალაში შედის სკოლამდელი და ადრეული განათლების კანონი, რომელიც განსაზღვრავს ბაგა-ბაღის ავტორიზაციის წესს. ვინაიდან ამგვარი პროგრამა არ არსებობდა, აღმზრდელი-პედაგოგის კვალიფიკაციის მქონე ადამიანები არ არსებობს. ეს ზრდის დასაქმების პერსპექტივას. კერძო და მუნიციპალური საბავშვო ბაღი, დღის ცენტრი შშმ ბავშვებისათვის, სხვადასხვა წრე.</p>
<p>2. ბიბლიოთეკარი 2016-წლის საგაზაფხულო მიღება.</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ზოგადი განათლების მქონე პირები. რომლებიც მუშაობენ ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიაში და სტუდენტი, შესაძლებელია სკოლა დამთავრებული. პროგრამაზე მიღებულია 20 სტუდენტი.</p>	<p>იმერეთის რეგიონის მუნიციპალურ და საჯარო სკოლის ბიბლიოთეკები, არქივი, წიგნის მაღაზია. კულტურის სამინისტროს პროგრამა "წიგნი ყველას" ახდენს დადებით გავლენას დასაქმების პერსპექტივაზე.</p>

5. ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამა	სამიზნე ჯგუფი (სტუდენტი)	დასაქმება და კარიერული ზრდის პერსპექტივა
<p>1. სისტემების ადმინისტრატორი (მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამა) პროგრამა მზადა არის,</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია იმერეთის და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ზოგადი განათლების მქონე პირები. ასევე, მაღალია ალბათობა, რომ პროგრამის შესწავლის სურვილი გაუჩნდეს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს. 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას პროგრამაზე მიღებულია 19 სტუდენტი.</p>	<p>კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს სერვერული ინფრასტრუქტურის მქონე ნებისმიერ კერძო კომპანიაში ან სახელმწიფო დაწესებულებაში (მაგალითად, ბანკი, ქუთაისის საჰაერო ნავიგაციის ან აეროპორტის სამსახურში).</p>

6. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამა	სამიზნე ჯგუფი (სტუდენტი)	დასაქმება და კარიერული ზრდის პერსპექტივა
1. საბაჟოსაქმისსპეციალისტი	მოთხოვნის პროგნოზი ოპტიმისტურია, 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 20 სტუდენტი.	1. საბაჟოსაქმისსპეციალისტი
2. სარეკლამო აგენტი	სამიზნე სტუდენტი საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ზოგადი განათლების მქონე პირები. ასევე, მაღალია ალბათობა, რომ პროგრამის შესწავლის სურვილი გაუჩნდეს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს. 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას. პროგრამაზე მიღებულია 20 სტუდენტი.	პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი/სხვადასხვა დარგის კომპანიაში მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ასევე აქვს თვითდასაქმების შესაძლებლობა. სარეკლამო აგენტი გვევლინება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის შუამავლის როლში და მიეკუთვნება შემსრულებელთა კატეგორიას. სარეკლამო აგენტის ძირითადი სამუშაო გარემოა ოფისი. საჭიროებისამებრ უწევს სავიდეო პირობებში მუშაობა.
3. სასტუმრო საქმის სპეციალისტი	2016-წლის საშემოდგომო მიღებისას პროგრამაზე მიღებულია 8 სტუდენტი კონტიგენტია იმერეთში მცხოვრები ადამიანები, რომელთაც რაიმე სახით უკვე აქვს შეხება სასტუმრო საქმესთან ან სამომავლოდ გეგმავს ამ საქმით დაკავებას.	პროგრამა ამზადებს სასტუმროს საქმის სპეციალისტს, რომელიც შეძლებს სასტუმროს ყველა განყოფილების - პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების, დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურის, დასუფთავების მომსახურების, კვების ობიექტების, სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობის, უსაფრთხოების, პრობლემური სიტუაციების, შესყიდვებისა და მარაგების - სამუშაოების ხელმძღვანელობას.

7. საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტი

პროგრამა	სამიზნე სტუდენტი	სტუდენტის დასაქმება და კარიერული ზრდა
<p>1. მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მეთხესაფხურის საგნობრივი პროგრამა)</p>	<p>სამიზნე სტუდენტი წარმოდგენილია სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში მცხოვრები სკოლა დამთავრებული ახალგაზრდებით. მეთხოვნის პროგნოზი ოპტიმისტურია, ელოდება კონკურსს არსებულ 30 ადგილზე. 2014 წელს შემოდგომის მიღებაზე ჩაირიცხა 20 სტუდენტი, გაზაფხულის მიღებაზე - 24 სტუდენტი; 2015 წლის შემოდგომის მიღებაზე 20 სტუდენტი, შემოდგომის მიღებაზე 30 სტუდენტი. 2016-წლის საშემოდგომო მიღებისას პროგრამაზე მიღებულია 30 სტუდენტი.</p>	<p>კურსდამთავრებულები როგორც წესი საქმდებიან მცირე ტიპის საწარმოებში ან აქვთ სურვილი წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი. დასაქმების პერსპექტივა შეიძლება შეფასდეს შედარებით ზომიერად.</p>

გარემოს ანალიზი და დაწესებულების შესაძლებლობების შეფასება

ძლიერი მხარე

- მაღალკვალიფიციური აკადემიური რესურსი
- სწავლის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ფოკუსი და კარგი სასწავლო გარემო
- მისაღები ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- პროფესიული განათლების სფეროში ქვეყნის მასშტაბით ექსკლუზიური პროგრამები
- არსებული კავშირები ბიზნეს სექტორთან და დამსაქმებლებთან
- მოდულური პროგრამების შემუშავებისა და დაწყების გამოცდილება

სუსტი მხარე

- სათანადო სასწავლო თუ საწარმოო პრაქტიკის შეზღუდული ინფრასტრუქტურა და რესურსები
- დაბალი სასწავლო და კარიერული მოტივაციის მქონე სტუდენტების დიდი რაოდენობა
- არასრულად ათვისებული უწყვეტი განათლების ცენტრის პოტენციალი
- მოქმედი პედაგოგების შედარებით მცირე პროფესიული სწავლებისათვის საჭირო უნარები და პრაქტიკული გამოცდილება
- პროფესიული განათლების მოდულური პროგრამებით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების გამოყენების ნაკლები გამოცდილება

შესაძლებლობა

- პროფესიული განათლებისადმი მზარდი სახელმწიფო მხარდაჭერა და დაინტერესება
- ბიზნესის პოტენციური ინტერესები პროფესიული განათლების განვითარებაში;
- პროფესიული განათლების კავშირი მცირე ბიზნესის განვითარებასთან და ეფექტურ თვითდასაქმებასთან
- სახელმწიფო დაფინანსების ზრდის პირობებში პროფესიული განათლება ხდება მეტად ხელმისაწვდომი
- ევროპული ინტეგრაციის პირობებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად ევროპული სტანდარტების, რეგულაციების დანერგვის მზარდი ტენდენცია, განსაკუთრებით გარემოს

დაცვის, მშენებლობის, სურსათის უვნებლობის, მომხმარებელთა უფლებების მიმართულებით

საფრთხე

- რეგიონებიდან ახალგაზრდების მიგრაცია და ადგილებზე კლებადი მოსახლეობა;
- თანამედროვე ლიტერატურის სიმწირე ქართულ ენაზე და იმავდროულად უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე
- პროფესიული განათლების და სწავლების შესახებ საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა, ნაკლები მოტივაცია და სკოლების ბაზაზე სუსტი პროფორიენტაციის სისტემა/შესაბამისი სერვისები
- ბიზნესის ნაკლები ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ, პრაქტიკანტების მისაღებად დაბალი მოტივაცია
- პრაქტიკის კვალიფიციურ პედაგოგთა ნაკლები ხელმისაწვდომობა